

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2020 წელი

ბოლო წლებში ქვეყანაში და კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, სასიკეთო ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულად 2020 წელი საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე იყო. COVID 19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოში არსებული ყოველდღიური რეალობა და არა ერთი დაბრკოლება შექმნა სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული პრობლემა რომელიმე სფეროში არ დაფიქსირებულა და მაქსიმალური ძალისხმევით შევეცადეთ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პროექტები არ შეფერხებულიყო.

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ გაიმართა საპარლამენტო არჩევნები და 31 ოქტომბერს, ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქართველმა ხალხმა, რომ მხარს უჭერენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, სტაბილურობას და უკეთეს ხვალინდელ დღეს.

ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას ვცდილობთ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ საზოგადოების აზრი და მათთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით ვიხელმძღვანელოთ. ყველა პრობლემის ერთად მოგვარება ძალიან რთულია, თუმცა ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტი განვითარდეს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ პროექტებსა და პროგრამებს. დღეს, შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო გასულ წელს განხორციელებული ის ძირითადი სამუშაოები, რომლებიც უკავშირდებოდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 16 243 300 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად

გადანაწილდა სხვადასხვა სფეროს მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად.

პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - შესრულება 98 %. წლიური გეგმა შეადგენდა 8 485 000 ათას ლარს; ხარჯი 8 294 400 ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა - შესრულება 71 %. წლიური გეგმა შეადგენდა 876 900 ლარს; ხარჯი 625 000 ლარი.

განათლება - შესრულება 95 %. წლიური გეგმა 1 495 800 ლარი; ხარჯი კი 1 419 700 ლარი.

სპორტის სფეროს განვითარება - შესრულება 99 %. წლიური გეგმა 1 138 800 ლარი; ხარჯი 1 127 100 ლარი.

კულტურის სფეროს განვითარება - შესრულება 96%. წლიური გეგმა წარმოადგენდა 903 500 ლარს; ხარჯი კი 863 400 ლარს.

ჯანმრთელობის დაცვა - შესრულება 83 %. წლიური გეგმა 334 700 ათასი ლარი; ხარჯი 278 500 ლარი.

სოციალური დაცვა - შესრულებულია 87%-ით. წლიური გეგმა 305 100 ათასი ლარი; ხარჯი 266 500 ლარი.

❖ ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

2020 წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა:

ასფალტის საფარი მოეწყო ქ. ამბროლაურისა და სოფ. ჭრებალოს შიდა ქუჩებზე, ასევე დაიწყო ქალაქის ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობა, რომელიც ითვალისწინებს გაზონებისა და ტროტუარების მოწესრიგებას, სანიაღვრე სისტემის მოწყობას, გარკვეული ადგილების ქვაფენილით მოპირკეთებას, ახალი ღობეების

მშენებლობას და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. განხორციელდა წესი-ურავის საავტომობილო გზის ასფალტირება, დასრულდა ჭელიაღელე-თლუღი-ხოტევის გზის, ასევე სოფ. კრიხისა და სოფ. ჭყვიშის გზების რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა წყალსადენი სისტემების მოწესრიგებისთვის. 2020 წელს 10-მდე სოფელში გაუმჯობესდა წყლის მიწოდება, ასევე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების მოწყობა, დამცავი კედლების, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა, საგნმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაცია.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გაზიფიცირების სამუშაოები. უკვე დასრულებულია და მოსახლეობა ბუნებრივი აირით სარგებლობს სოფლებში: ქვიშარი, ჭრებალო, პირველი ტოლა, ხვანჭკარა, ღვიარა, ბოსტანა, სადმელი, ძირაგეული, კვაცხუთი, წესი, იწა.

გაზიფიცირება ასევე განხორციელდა სოფლებში: ნიკორწმინდა, თლუღი, ხოტევი, ჭელიაღელე, აგარა, ჩორჯო, მეორე ტოლა, ჭყვიში, ხიმში, გორი, ახალსოფელი. დარჩენილია გარკვეული პროცედურები და ძალიან მალე ყველა ეს სოფელი ისარგებლებს ბუნებრივი აირით.

წელს ამ ჩამონათვალს დაემატა სოფლები - კრიხი, ჟოშხა და ბაჯი და მე დარწმუნებული ვარ უახლოეს წლებში მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი ისარგებლებს ბუნებრივი აირით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2020 წელს, მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 პროექტი საერთო ღირებულებით 5 259 107 ლარი.

მდ. კრიხულაზე დასრულდა დამცავი ჯებირის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოები. აღნიშნულ ტერიტორიაზე იწყება რეკრეაციული ზონის მოწყობა, რაც ითვალისწინებს ,,სანაპიროს“ კეთილმოწყობას და ბულვარის გაკეთებას. ჩვენი მიზანია აღნიშნული ტერიტორია გავხადოთ ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული და ტურისტულად მიმზიდველი ადგილი. გარდა ამისა ქალაქ ამბროლაურში განხორციელდა დახურული სპორტული დარბაზისა და ღია სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, სოფლებში - აბარი, ჟოშხა, პატარა ონი, ჭელიაღელე, კვაცხუთი, შხივანა მოწესრიგდა წყალსადენი სისტემები, ასევე როგორც ზემოთ აღვნიშნე დასრულდა ჭელიაღელე-თლუღი-ხოტევის გზის, ასევე სოფ. კრიხისა და სოფ. ჭყვიშის გზების მესამე ეტაპის სამუშაოები, რომელიც ეტაპობრივად კვლავ გაგრძელდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 792 000 ლარის ღირებულების 74 პროექტი. პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო ხიდ–ბოგირები, სანიაღვრე არხები, სტადიონები, გარე განათება, სკვერები, წყაროები, სასოფლო გზები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტულობას ადგილობრივი მოსახლეობა თავად განსაზღვრავს. ეს პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას როგორც მათი სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში, ისე ზოგადად, თემის პრიორიტეტებისა და სამომავლო განვითარების მიმართულების განსაზღვრაში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 1 000 000 ლარზე მეტი გამოიყო და განხორციელდა 40-მდე პროექტი.

წყალსადენი სისტემების მოვლა-რეაბილიტაციის კუთხით სამუშაოები ჩატარდა სოფელ ღვიარის, წესის, ჩორჯოს, კვირიკეწმინდის, ქვედა ღვარდიის, ზნაკვის საუბნო ქსელებზე.

ასევე სამუშაოები განხორციელდა სოფელ ბუგეულის დვლების უბნის, სოფელ მეორე ტოლის გოტიაშვილების უბნის და სოფელ ლიხეთის ბეშიძეების უბნის წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციაზე. რამდენიმე სოფელში განხორციელდა სანიაღვრე არხების, გზის საყრდენი კედლებისა და ხიდ-ბოგირების მოწყობა.

გარდა ამისა ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები, რათა გადაადგილება შესაძლებელი იყოს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის.

2020 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1 200 000 ლარი გამოიყო და სოფ. ჭყვიშში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლა აშენდა.

2020 წელს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მუნიციპალიტეტში დაფინანსდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. მათ შორის წესი-ურავის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომელიც წლების მანძილზე მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ მონაკვეთს წარმოადგენდა, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ხოტევი-ამბროლაურის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ჩვენი მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი სარგებლობდეს კეთილმოწყობილი სააავტომობილო გზით, ბუნებრივი აირითა და გამართული წყალსადენი სისტემით და ამ მიმართულებით აქტიური სამუშაოები კვლავ გაგრძელდება.

2020 წელი გამოირჩეოდა იმითაც, რომ მუნიციპალიტეტმა მოიპოვა გრანტი, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმდა გაეროს განვითარების ფონდთან (UNDP) პროექტზე - ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით სკვერების რეაბილიტაცია“. პროექტის ღირებულება 137 000 ლარს შეადგენს და ორ კომპონენტს მოიცავს. პირველი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისთვის საკადასტრო-აზომვითი ნახაზების აპარატურის შეძენას და აღნიშნული მიმართულებით სამი თანამშრომლის გადამზადებას, რაც გამოიწვევს მუნიციპალური დანახარჯების შემცირებას და საშუალებას მოგვცემს დაზოგილი სახსრები პრიორიტეტული მიმართულებებით გამოვიყენოთ. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, ითვალისწინებს 2 სკვერის რეაბილიტაციას (ვაჟა-ფშაველასა და კოსტავას ქუჩების მიმდებარედ) და შესაბამისი საგამოფენო სივრცეების შექმნას, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ მცირე მეწარმეებს მეტად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზაცია.

2020 წელს ასევე გადაჭარბებით შესრულდა საპრივატიზაციო გეგმა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დამატებითი შემოსავლების მობილიზება და აღნიშნული თანხის მიმართვა აუცილებელი პროექტების განხორციელებისკენ.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 300 100 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (მომსახურებით ისარგებლა 43-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 29 364 ლარი);

10 000 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო პაკეტით უზრუნველყოფა (141 ბენეფიციარზე დაიხარჯა 8 114 ლარი);

ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (84 ოჯახზე გაცემულია 35 200 ლარი);

ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (10 ახლადშექმნილ ოჯახზე გაცემულია 10 000 ლარი);

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (3 გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურებისათვის გაიცა 750 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (15 ბავშვზე გაცემულია 4 500 ლარი);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა (48 პირზე გაცემულია 46 100 ლარი);

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება (16 ბენეფიციარზე გაცემულია 37 750 ლარი);

ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება (1 ოჯახზე გაცემულია 10 000 ლარი);

მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (117 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 46 800 ლარი);

მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (32 ოჯახზე გაცემულია 8 250 ლარი);

უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა (9 ოჯახზე გაცემულია 8 730 ლარი);

მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (7 მარტოხელა მშობელზე გაიცა 2 100 ლარი);

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (ომისა და სამხედრო ძალების 18 ვეტერანზე გაცემულია 3 600 ლარი);

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით დახმარება (საშეშე მერქნით უზრუნველყოფილ იქნა 151 ოჯახი, რომლისთვისაც დაიხარჯა 14 958 ლარი);

100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 ლარი).

სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, 696 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 266 416 ლარი.

სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 270 000 ლარით დაფინანსდა 4 ქვეპროგრამა:

ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების სამედიცინო მომსახურება (მომსახურება გაეწია 125 ბენეფიციარს, ღირებულება - 136 821 ლარი);

ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა (ისარგებლა 75 ბენეფიციარმა, დახარჯულია 49 966 ლარი);

ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება (კვლევები ჩაუტარდა 35 ბენეფიციარს. დახარჯული თანხა შეადგენს - 17 305 ლარს);

ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა მედიკამენტური მკურნალობა (ისარგებლა 57 ბენეფიციარმა, გახარჯულია 11 141 ლარი).

2020 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 292 ბენეფიციარს. გაცემული თანხა კი შეადგენს 215 234 ლარს.

მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ არსებული პროგრამები და ბევრი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესები გავითვალისწინოთ.

❖ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა

2020 წელს, პანდემიის გამო, დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი გაუქმდა, თუმცა მიუხედავად ამისა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, აღნიშნული სფეროების ხელშეწყობა-განვითარების მიზნით, არა ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა განახორციელა. მათ შორის გამოვყოფდი განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს, რომლის ფარგლებშიც ოქროსმედალოსანი ახალგაზრდები 300 ლარით, ვერცხლისმედალოსნები კი 200 ლარით დაჯილდოვდნენ, დამატებით 500 ლარი გადაეცათ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100 %-იანი გრანტი მოიპოვეს, გარდა ამისა პორტაბელური კომპიუტერები გადაეცათ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საუკეთესო აკადემიური მოსწრების, სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს (6 ბავშვი). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის, სოციალურად დაუცველ წარჩინებულ სტუდენტებს (8 ბავშვი) კი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სწავლის საფასური (2000 ლარი) აუნაზღაურა.

დამეთანხმებით, რომ არსებული პანდემიის მიუხედავად, ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, თუმცა არცერთ სფეროში განხორციელებულ საქმიანობას შედეგი არ ექნება, თუ მოსახლეობამდე სწორად ვერ მივიტანთ.

მერიაში მოქმედებს ოფიციალური ფეისბუქ და ვებ. გვერდები, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია და წარმოადგინონ მათთვის საინტერესო იდეები. რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ, პერიოდულად თავსდება ინფორმაციები სხვადასხვა წამყვან საინფორმაციო სააგენტოებზე; თვეში ერთხელ გამოდის გაზეთი ,,ამბროლაურის მოამბე“, რომლის გარკვეული რაოდენობა მოსახლეობას უფასოდ ურიგდება; პერიოდულად მუნიციპალიტეტისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები აწარმოებენ მოსახლეობასთან ადგილზე გასვლას მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესწავლის მიზნით.

მე შევეცადე, შესაძლებლობის ფარგლებში, მოკლედ წარმომედგინა 2020 წელს განხორციელებული საქმიანობა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად,

საკმაოდ ეფექტური სამუშაოები შეასრულა. მე, არ ვფიქრობ, რომ ყველა საკითხი მოგვარებულია და პრობლემები აღარ არსებობს, თუმცა მთავარია რომ თითოეული ჩვენგანი მიმართული ვართ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა უკეთესობა იგრძნოს.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. მონდომებით და მუხლჩაუხრელი შრომით კიდევ ბევრი პროექტი თუ პროგრამა განხორციელდება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.